II კლასი

მეორე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 5 სავარჯიშო და სულ 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპის დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35. ტესტი ამოწმებს მოსწავლის ენობრივ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს: ანბანის ცოდნას, მარცვლების გარჩევას, ბუნებასთან და ცხოველებთან დაკავშირებული ცნებების ცოდნას, სიტყვების მნიშვნელობის გაგებასა და ვიზუალური მასალის (ნახატის) გააზრებას.

სავარჯიშო 1: ანბანი და ასოები

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ქართული ანბანისა და ბგერების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს განსაზღვროს რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა, ამოიცნოს ხმოვნები, იპოვოს გამოტოვებული ასო ანბანის რიგში და სწორად შეადგინოს სიტყვა მოცემული ასოებისგან. დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის ფონეტიკური ცოდნის გაღრმავებას და ანბანის სტრუქტურის უკეთ გაგებას.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:

რომელი სიტყვა შედგება ოთხი ბგერისგან?

ა) თათი ბ) კალამი გ) თოვლი

სავარჯიშო 2: მარცვალი

ეს ნაწილი ამოწმებს მოსწავლის უნარს სწორად განსაზღვროს სიტყვის მარცვლოვანი აგებულება. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვაში მარცვლების რაოდენობის დადგენა, ამოიცნოს გამეორებული მარცვალი, მარცვლებისგან შეადგინოს სიტყვა და განსაზღვროს, არის თუ არა სიტყვა სწორად დამარცვლილი.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:

რამდენი მარცვალია სიტყვაში „სახლი“?

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

სავარჯიშო 3: ცხოველები და ბუნება

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ბუნებისა და ცხოველების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს განსაზღვროს ცხოველების საცხოვრებელი გარემო, განასხვაოს შინაური და გარეული ცხოველები, ამოიცნოს ფრინველები და მცენარეები. დავალებები ეხმარება მოსწავლეს გარემოსა და ბუნების შესახებ საბაზისო ცოდნის გაფართოებაში.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:

რომელი ცხოველია შინაური?

ა) მელა ბ) ძროხა გ) მგელი

სავარჯიშო 4: სიტყვის მნიშვნელობა

მეოთხე სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის უნარს სწორად გაიაზროს სიტყვების მნიშვნელობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვის დედააზრის ამოცნობა, სინონიმური ან საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების გარჩევა და ზოგადი ცნებების დაკავშირება შესაბამის მნიშვნელობასთან. ამ დავალებების მიზანია მოსწავლის ლექსიკური მარაგის გამდიდრება/გააქტიურება.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:

სიტყვა „ზემოთ“ საპირისპირო სიტყვაა:

ა) პატარა ბ) ქვემოთ გ) გრძელი

სავარჯიშო 5: ნახატის გააზრება

ამ ნაწილში მოსწავლეს ეძლევა ნახატი, რომლის მიხედვითაც უნდა უპასუხოს შეკითხვებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნახატზე გამოსახული გარემოს, ცხოველებისა და მოვლენების სწორად ამოცნობა, ასევე დეტალებზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. ეს ნაწილი ამოწმებს დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებასა და ვიზუალური ინფორმაციის გააზრების შესაძლებლობას.

სავარჯიშო არის **40 ქულიანი** და შედგება **10 საკითხისგან**, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

ტესტის ბოლოს მოცემულია **ბონუს-სექცია**, რომელიც შეიცავს **5 შეკითხვას**, თითოეული შეფასებულია **5 ქულით**. ეს ნაწილი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს დამატებითი ქულები და ნაწილობრივ აანაზღაუროს ტესტში დაშვებული შეცდომები.